ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 60

19.10.2021
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **მარიამ კვერნაძე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-03212531-03; 10.09.2021).* (**მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე)

სხდომა წარიმართა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებთან ერთად.

სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარმოადგინა.

მარიამ კვერნაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ მიწის მონაცვლეობის საკითხს, რომელიც მდებარეობს დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში და შეადგენს 7 000 კვ.მ, ფუნქციური მდგომარეობა დღეის მონაცემებით გახლავთ სსზ-2, რომელის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის ჩიხის N11ა-ში მდებარე 10 327 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ფუნქციური ზონა რზ-2 ვრცელდება. მონაცვლეობა საპრივატიზებო პირობების გარეშე ხორციელდება, რადგან განმცხადებლის ქონება აღემატება მუნიციპალური ქონების ღირებულებას. პირობები გახლავთ შემდეგი, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია სპორტული მოედანი, ხოლო კომპანიას სურს სამშენებლო განვითარებისთვის გამოყენება, მაგრამ მუნიციპალიტეტის ინტერესებია ამ შემთხვევაში, რომ ტერიტორიას შეუნარჩუნდეს სპორტული ფუნქცია და განვითარდეს ამგვარად. სწორედ ამ მიზეზით არქიტექტურის სამსახურმა ზონალური საბჭოს რეკომენდაციაზე დაყრდნობით უარი უთხრა მიწის მესაკუთრეს სამშენებლო განვითარებაზე. აღნიშნული გარემოების შეჯამებით ვახორციელებთ უძრავი ქონების მონაცვლეობას.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რადგან ტერიტორია ისტორიულად იყო სპორტული სივრცე, გასხვისება კი იმ პრაქტიკის შედეგია, რაც წინა წლებში იყო. მოხარული ვარ, რომ აღნიშნული ინფრასტრუქტურა სრულად გადმოეცემა ქალაქს, ჩვენს ბალანსზე გადმოსვლის შემდეგ აქტიურად ვეცდებით, რომ აღნიშნული სპორტული სივრცე კეთილმოვაწყოთ და ხელი შევუწყოთ მომავალი თაობების აღზრდასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მხოლოდ მიესალმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე